# ფანტაზია 2000

– საკროსვორდო ენციკლოპედიის „პირველი ტომი“ ფინიშის სწორზე გავიდა. (მე-2 გვ.)

– რუბრიკით „ფანტაზიის დიდოსტატები“ დღეს წარმოგიდგენთ ბაირონის ქალიშვილს ავგუსტა ადა ბაირონ კინგს. (მე-3 გვ.)

– „ალო ფანტაზიის“ პირველ ტურში ხუთმა მონაწილემ ამოიცნო სამივე კითხვის ზუსტი პასუხი (მე-6 გვ.)

თქვენ ყოველი ტურიდან შეგიძლიათ ჩართვა ჩვენს

## მთავარი გმირი



ჩვენი გაზეთის მკითხველებს, ალბათ, შენიშნული აქვთ, რომ ჩვენ განსაკუთრებული სიმპატიები გაგვაჩნია სოფი მარსოს მიმართ და ეს იმაშიც გამოიხატა, რომ რუბრიკა „მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი“ სწორედ მისი წარდგინებით დავიწყეთ... დღეს გთავაზობთ ამ რუბრიკის მე-18 გამოშვებას (იზაბელ აჯანი), უახლოეს ხანში კი ამავე ქალღმერთების სიით შევეცდებით ლეგენდარული ვივიენ ლი გაგაცნოთ...
(გვიკითხეთ ჩვენ!)

## ინტელექტუალთა ტურნირში



თარაზულად: 5. რა ეროვნების იყო რასულ გამზათოვი? 6. არსება ბერძნული მითოლოგიიდან, რომელსაც „ცისკარას“ ურჩთა ქალაქში დიდი გამოყენება ექნებოდა. 8. მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა მწვრთნელი. 10. საფოსტო ატრიბუტი საგანგებო აღნიშვნებისათვის. 11. პიროვნება, რომლის დახატვა არსაკიძეს მკლავის მოჭრად დაუჯდა. 12. საქანელაზე წამოსკუპებული ქალბატონის (*იხილეთ ფოტო*) მიერ განსახიერებული პერსონაჟის სახელი და გვარი (შუალედის გარეშე). 15. მაღალი თანამდებობის პირი აღმოს. მონარქიულ სახელმწიფოებში. 17. ქალსაც და გაზეთსაც ლამაზი უნდა ჰქონდეს. 18. ზამთრის ერთ-ერთი ოლიმპ. თამაშების დედაქალაქი საფრანგეთიდან. 19. ქალაქი ლიბანში. 20. მაღალი თანამდებობის პირი ძვ.საბერძნეთის ქალაქებში.

შვეულად: 1. ასეთი ენაც არსებობს. 2. ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფი საშუალება. 3. დიდი პოლონელი კომპოზიტორი. 4. საისტორიო თხზულებათა უძველესი სახე. 7. წამქეზებელი ანუ ვინ? 8. ის, რაც ცხოვრებას „ალამაზებს“ სიჭაბუკეში. 9. აფხაზი მწერალი, ფაზილ (.........). 13. ფართობის საზომი ერთეული. 14. ლიმფური ჯირკვლების ანთება. 16. ბედი ანუ რა? 17. რუსი (საბჭოთა) კომპოზიტორი, რეინგოლდ მორიცევიჩი.

**აფაგია** - ზოგიერთი ცხოველის განვითარების გარკვეულ ფაზაში გარემოდან საკვების მიღების უნარის უქონლობა.
**აფაზია** - მეტყველების მოშლა.
**აფალინა** - ძუძუმწოვარა ცხოველი დელფინისებრთა ოჯახისა.
**აფანასიევი** ალექსანდრე - XIX ს რუსი ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი.
**აფანდი** კუსუმა - XX ს ინდონეზიელი ფერმწერი და გრაფიკოსი.
**აფარი** (დანაკილი) - ტექტონიკური ღრმული ეთიოპიის მთანეთში.
**აფაქიძე** ვალენტინ - საბჭოთა ეპოქის ცნობილი სამხედრო მოღვაწე.
**აფეთქება** - დიდი რაოდენობის ენერგიის განთავისუფლება შეზღუდულ მოცულობაში დროის მცირე მონაკვეთში.
**აფელინუსი** - სიფრიფანაფრთიანი პარაზიტი მწერი ქალციდების ოჯახისა.
**აფელიუმი** - დედამიწის ან სხვა რომელიმე მნათობის ორბიტის წერტილი, როცა მზიდან დაშორებულია უდიდესი მანძილით.
**აფენი** - სოფელი ლაგოდეხის რაიონში.
**აფენისხევი** - მდინარე შიგნი კახეთში, ლაგოდეხის რაიონში.
**აფერა** - სახიფათო ბნელი რამ წამოწყება, ყალთაბანდობა.
**აფერისტი** - ყალთაბანდი.
**აფერუმ!** - (შორისდებული) ყოჩაღ! ბარაქალა!
**აფექტაცია** - არაბუნებრივი, მეტისმეტი აღგზნებულობა, რაც ქცევასა და მეტყველებას ხელოვნურობის იერს აძლევს.
**აფექტი** - უკიდურესად ინტენსიური, უეცრად წარმოქმნილი და სწრაფწარმავალი ემოცია.
**აფთარი** - მტაცებელთა რიგის ძუძუმწოვარა ცხოველი.
**აფთები** - პატარა მოყვითალო წყლულები პირის ღრუს, იშვიათად საშოს ლორწოვან გარსზე.
**აფთი** - ძველებური ბრტყელი, გრძელტარიანი მახვილი.
**აფთიაქი** - დაწესებულება, სადაც მზადდება, ინახება და იყიდება წამლეული.
**აფიანდა** - სოფელი სოხუმის რაიონში.
**აფიანჩა** - სოფელი და მთა გულრიფშის რ.
**აფიეთი** - სოფელი ადიგენის რ
**აფილია** - უფოთლობა.
**აფინაჟი** - მაღალი სიწმინდის კეთილშობილი ლითონების მიღების მეტალურგიული პროცესი.
**აფინაცია** - რაფინირებისათვის განკუთვნილი შაქრის ფხვნილის წინასწარი გაწმენდა.
**აფინიტეტი** - იგივე მყნობა.
**აფინოგენოვი** ალექსანდრე - XX ს რუსი დრამატურგი.
**აფიონყარაჰისარი** - ქალაქი თურქეთში.
**აფირმაცია** - დადასტურება, დამტკიცება.
**აფიქსი** - ფუძეზე დართული ცალკე მნიშვნელობას მოკლებული ნაწილი სიტყვისა.
**აფიშა** - ამა თუ იმ კულტურული ღონისძიების მაუწყებელი რეკლამის ფორმა.
**აფნია** - სოფელი ახალქალაქის რ
**აფნისი** - სოფელი ქარელის რ
**აფონია** - ხმამაღლა ლაპარაკის უნარის დაკარგვა.
**აფონია** - გია დანელიას ფილმი.
**აფორიზმი** - დახვეწილი, ლაკონური ფორმით გამოთქმული ბრძნული აზრი.
**აფრა** - 1) იალქანი. 2) არქიტექტურაში - კონსტრუქციული ელემენტი, სამკუთხა ფორმის სფერული კამერა. 3) (ველუმი) - ზოგი ნაწლავღრუიანის, ზღვის მუცელფეხიანების საკვების მიმტაცებელი ორგანო. 4) ყვავილის გვირგვინის ზედა ფურცელი.
**აფრაკი** - 1) გახმობისას გამრუდებული, დაბრეცილი ფიცარი. 2) თავქარიანი, მოსულელო ადამიანი.
**აფრასიაბი** - წინამონღოლური დროის ნაქალაქარი სამარყანდის გარეუბანში.
**აფრაშთე** მუჰამედ ალი - XX ს ირანელი მწერალი.
**აფრიდები** - პუშტუ ტომთა ჯგუფი დას. პაკისტანში.
**აფრიდონი** - XII ს საქ. პოლიტ. მოღვაწე, მსახურთუხუცესი.
**აფრიკა** - სიდიდით მეორე კონტინენტი ევრაზიის შემდეგ.
**აფრიკაანსი** - აფრიკანერების (ბურების) ენა, სამხრ. აფრიკის რესპ. სახელმწ. ენა, განეკუთვნება დას. გერმანიკულ ენათა ჯგუფს.
**აფრიკანერები** (ბურები) - სამხრ. აფრიკაში ძირითადად ჰოლანდიელ მოახალშენეთა შთამომავლები.
**აფრიკანთროპი** - აფრიკელი ნამარხი ადამიანი.
**აფრიკანისტიკა** - აფრიკის ხალხთა სოციალურ-პოლიტიკური და ჰუმანიტარული დისციპლინების შემსწავლელი მეცნიერება.
**აფრიკატი** - ხშული თანხმოვნები (ჯ-ჩ-ჭ, ძ-ც-წ).
**აფროდიტე** - სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთი ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში.
**აფროსნისებრნი** - დღის პეპლების ოჯახი.
**აფროსნობა** - აფრიანი ნავის მართვის ხელოვნება.
**აფსათი** - ნადირთა და ფრინველთა გამგებელი ღვთაება სვანურ მითოლოგიაში.
**აფსარუნტი** (აფსაროსი) - 1) ძლიერი ციხე-ქალაქი კოლხეთის სამხრ. ნაწილში. 2) მდ. ჭოროხის ძველი სახელი.
**აფსიდა** (აბსიდი) - შენობის ნაწილი, თაღი, კამარა.
**აფსიდები** - ერთი ციური სხეულის გარშემო მეორის მოძრაობის ორბიტის უშორესი ან უმოკლესი მანძილების წერტილები.
**აფსილები** - ერთ-ერთი უძველესი აფხაზური ტომი.
**აფსილეთი** - აფსილების ეთნიკურ-პოლიტიკური ერთეული ძვ. კოლხეთში.
**აფსირტე** - კოლხეთის მეფე აიეტის ვაჟი, მედეას ნახევარძმა.
**აფსკა** - თხელი, სიფრიფანა კანი რისამე.
**აფსკი** - იგივეა, რაც ფირი.
**აფსნი** - აფხაზეთი აფხაზურად.
**აფსუს!** - დანანების გამომხატველი შორისდებული.
**აფტალიონი** ალბერ - XIX-XX სს ფრანგი ეკონომისტი.
**აფტერშოკი** - ძლიერი მიწისძვრის მომდევნო სუსტი ბიძგი.
**აფქიო** - ნავის აფრა, რომელსა ქარი ბერავს (საბა).
**აფშანხვარა** - სოფელი გუდაუთის რ
**აფშერონი** - ნახევარკუნძული კასპიის ზღვის დას. სანაპიროზე, აზერბაიჯანში.
**აფშერონსკი** - ქალაქი რუსეთში, კრასნოდარის მხარეში.
**აფშინაშვილი** გრიგოლ - ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი.
**აფშო** - სოფელი დუშეთის რ
**აფცხვა** - სოფელი გუდაუთის რ
**აფხაზები** - აფხაზეთში მცხოვრები ერი.
**აფხაზეთი** - ავტონომიური წარმონაქმნის საქართველოს შემადგენლობაში.
**აფხაზი** კონსტანტინე - XIX-XX სს აღმ. საქართველოს თავადაზნაურთა ლიბერალური წრის ერთ-ერთი ლიდერი.
**აფხაიძე** ემანუილ - რუსთაველის სახ. თეატრის მსახიობი 1920-70-იან წლებში.
**აფხაიძე** შალვა - XX ს პოეტი და ლიტერატურათმცოდნე.
**აქ** - ამ ადგილას, ამ მხარეს; ამ შემთხვევაში.
**აქა** - იგივეა, რაც აქ.
**აქა გუნდუზი** - XX ს თურქი მწერალი.
**აქადი** - ძვ. ქალაქი შუამდინარეთში.
**აქაველები** - ერთ-ერთი ძირითადი ძვ. ბერძნული ტომი.
**აქაია** - პელოპონესის (საბერძნ.) ჩრდ. ზღვისპირა რაიონი.
**აქანდაზი** - პატარა ნიჩაბი ნავის გადასაყრელად.
**აქაობა** - იგივეა, რაც აქაურობა.
**აქაოდა** - რადგანაცაო, რაკიო.
**აქატი** - მინერალი, კვარცის ფარულკრისტალური სახესხვაობა.
**აქატინა** - ხმელეთის მოლუსკების გვარი აქატინისებრთა ოჯახისა.
**აქაური** - ამ ადგილების მკვიდრი.
**აქაურობა** - ყველაფერი, რაც აქ არის.
**აქბარი** ჯალალ-ალ-დინ - XVI-XVII სს მონღოლთა იმპერიის გამგებელი.
**აქეთ** - ამ ადგილისაკენ.
**აქემენიდები** - სამეფო დინასტია სპარსეთში ძვ.წ. VI-IV სს.
**აქერონტი** - მდინარე საბერძნეთში, ეპირის სამხრეთით.
**აქვაჩა** - სოფელი გუდაუთის რ
**აქვაჩარხუ** - სოფელი გუდაუთის რ
**აქვიტი** - სათიბებსა და საძოვრებზე გათიბვის ან გაძოვების შემდეგ წამოზრდილი ბალახი.
**აქიდაყვა** - მდინარე ოზურგეთის რ
**აქიდრა** - სოფელი ოჩამჩირის რ
**აქილევსი** - ბერძნ. მითოლოგიაში და ჰომეროსის „ილიადაში“ ტროას ომის გმირი.
**აქილევსი** - მცირე ცთომილი №588, განეკუთვნება ტროელთა ჯგუფს.
**აქილია** - კუჭის წვენში მარილმჟავასა და ფერმენტ. პეფსინის უქონლობა.
**აქინჯიები** - მეზობელი ქვეყნების მიწა-წყლის სარბევად და დასაზვერად მოწყობილ ლაშქრობათა მონაწილენი ოსმალეთში.
**აქიუ** - კარსტული მღვიმე გუდაუთის რ
**აქიფი** მეჰმედ - XIX-XX სს თურქი პოეტი.
**აქლემი** - მაღალი ერთ- ან ორკუზიანი მცოხნელი ძუძუმწოვარა ცხოველი.
**აქო** - XVII ს ინდოელი პოეტი.
**აქოლია** - თორმეტგოჯა ნაწლავში ნაღვლის გადასვლის შეწყვეტა.
**აქრომატი** - ფოტოაპარატის და მისთანათა ობიექტივი, რაშიც თავიდანაა აცილებული ქრომატული აბერაცია.
**აქრომატინი** - უჯრედის ბირთვის უბნები, რომლებიც სუსტად ილებება.
**აქრომატიზმი** - ოპტიკური მინის თვისება - სინათლის სხივები გარდატეხოს შემადგენელ ნაწილებად დაშლის გარეშე; უფერულობა.
**აქრომატოფსია** - მხედველობის ნაკლი, როდესაც ფერებს ვერ არჩევენ.
**აქსაი** - ქალაქი რუსეთში (რისტოვილს ოლქი).
**აქსაკოვი** სერგეი - XIX ს რუსი მწერალი.
**აქსარაილი** ქერიმეთინ მაჰმუდ - XIV ს მცირეაზიელი ისტორიკოსი.
**აქსელბანდი** - სამხრე, საბეჭური.
**აქსელერატი** - აქსელერაციის შედეგად ჩამოყალიბებული ადამიანი.
**აქსელერატორი** - მოწყობილობა, რომელიც არეგულირებს შიგაწვის ძრავაში კარბურატორიდან საწვავის მიწოდებას.
**აქსელერაცია** - 1) (ბიოლ.) ჩანასახის ცალკეული ნაწილების ფორმირების დაჩქარება. 2) (ანთროპ.) ბავშვებისა და მოზარდების სომატური განვითარებისა და ფიზიოლ. მომწიფების დაჩქარება.
**აქსელერომეტრი** - მოძრავი ობიექტის აჩქარების საზომი ხელსაწყო, იყენებენ კოსმონავტიკაში.
**აქსელროდი** ლიუბოვ - XIX-XX სს რუსი ფილოსოფოსი.
**აქსელროდი** ჯულიუს - ამერიკელი ფიზიოლოგი და ფარმაკოლოგი.
**აქსენფელდი** იზრაილ - XIX ს ებრაელი მწერალი.
**აქსერი** ერვინ - პოლონელი რეჟისორი
**აქსესუარი** - რაიმეს კუთვნილება, საგნის თანმხლები დეტალი.
**აქსინია** - პერსონაჟი ქალი შოლოხოვის „წყნარი დონისა“
**აქსიოლოგია** - ფილოსოფიის დარგი, შეისწავლის ღირებულების რაობას.
**აქსიომა** - დებულება, რომლის ჭეშმარიტება თავისთავად ცხადია.
**აქსიომური** - თავისთავად ცხადი, უდავო.
**აქსიონოვი** ვასილი - XX ს რუსი მწერალი.
**აქსისი** - ძუძუმწოვარა ცხოველი ირმისებრთა ოჯახისა.
**აქსისი** (ეპისტროფეუსი) - ადამიანისა და უმაღლეს ხერხემლიანთა კისრის მეორე მალა.
**აქსოლოტლი** - კუდიანი ამფიბიის - ვეფხვა ამბისტომის ლარვა.
**აქსონი** - ნერვული უჯრედის მორჩი.
**აქსონომეტრია** - სივრცითი ნაკვთის სიბრტყეზე გამოსახვის ერთ-ერთი ხერხი.
**აქსუ** - უღელტეხილი კავკასიონის მთავარ ქედზე, ბეჩოს უღელტეხილის აღმ.-თით.
**აქსუ** - მდინარე ყაზახეთში.
**აქსუმი** - ქალაქი ჩრდ. ეთიოპიაში.
**აქტები** - ფინელ მუსიკოსთა ოჯახი.
**აქტეონი** - ბერძნ. მითოლ. მონადირე ჭაბუკი, თებეს მეფის კადმეს შვილიშვილი.
**აქტი** - 1) ცალკეული მოქმედება. 2) ოფიც. დოკუმენტი. 3) დრამ. ნაწარმოების დასრულებული ნაწილი. 4) გრამატ. კატეგორია.
**აქტივი** - 1) ორგანიზაციის ყველაზე მოწინავე, ქმედითი ნაწილი. 2) ბუხჰალტრული ბალანსის ნაწილი.
**აქტივისტი** - პირი, რომელიც აქტიურობას იჩენს.
**აქტინი** - კუნთოვანი ბოჭკოს ცილა.
**აქტინიდია** - ხვიარა ბუჩქების გვარი.
**აქტინიები** - ზღვის ნაწლავღრუიანების რიგი მარჯნის პოლიპების კლასისა.
**აქტინიუმი** - რადიოაქტიური ქიმ. ელემენტი.
**აქტინო...** - წინსართი მნიშვნელობით „სხივიანი“.
**აქტინობაცილოზი** - ცხოველთა ინფექციური ქრონიკული დაავადება.
**აქტინოიდები** - ქიმიური ელემენტებისაგან შემდგარი ოჯახი მენდელეევის ელემენტთა პერიოდული სისტემის მე-7 პერიოდში.
**აქტინოლითი** - სხივოსანი ქვა, ამფიბოლების ჯგუფის მინერალი.
**აქტინომეტრი** - მზის პირდაპირი რადიაციის ინტენსივობის საზომი ხელსაწყო.
**აქტინომეტრია** - მეტეოროლოგიის დარგი. შეისწავლის მზის სხივური ენერგიის ინტენსივობას.
**აქტინომიკოზი** - ადამიანისა და ცხოველის ქრონიკოლი ინფექციური დაავადება.
**აქტინომიცეტები** - მიკროოგანიზმების ჯგუფი ბაქტერიებსა და სოკოებს შორის.
**აქტინონი** - ქიმ. ელემენტის, რადიონის ერთ-ერთი იზოტოპი.
**აქტინური** (სხივი) იისფერი და ულტრაიისფერი სხივები, რაც სხეულში იწვევს ქიმიურ და ელექტრულ ცვლილებებს.
**აქტიორი** - მსახიობი.
**აქტიუბინსკი** - ქალაქი ყაზახეთში.
**აქტიური** - ენერგიული, ქმედითი.
**აქტომიოზინი** - კუნთოვანი ბოჭკოს შემკუმშავი კომპლექსური ცილა.
**აქტრისა** - მსახიობი ქალი.
**აქტუალიზმი** - (გეოლ.) დედამიწის განვითარების ისტორიის შეცნობის მეთოდი.
**აქტუალური** - დიდად მნიშვნელოვანი
**აქტფსიქოლოგია** - ემპირიული ფსიქოლოგიის მიმდინარეობა.
**აქუცა** - სოფელი ქედის რ (აჭარა).
**აქშა!** - შეძახილი ფრინველის დასაფრთხობად.
**აქშიირაქი** - მთის მასივი ტიან-შანში.
**აქცენტი** - 1) იგივე, რაც მახვილი; 2) დედაენის გამოთქმის თავისებურებათა შენარჩუნება უცხო ენაზე მეტყველებისას.
**აქცენტირება** - ხაზგასმა.
**აქცენტიოლოგია** - ენათმეცნიერების დარგი, რომელიც იკვლევს ენის მახვილთა სისტემას.
**აქცენტუაცია** - 1) ამა თუ იმ ენის მახვილთა სისტემა; 2) მეტყველებაში სათანადო ადგილას ხმის ამაღლება.
**აქცეპტანტი** - პირი, რომელმაც აიღო ვალდებულება თამასუქის განაღდების შესახებ.
**აქცეპტაცია** - (სამოქ. სამართალში) - ერთი მხარის თანხმობა მეორის შეთავაზებულ წინადადებაზე ხეშეკრულების დადების თაობაზე.
**აქცეპტი** - უნაღდო ანგარისჭორების ერთ-ერთი ფორმა.
**აქცეპტორი** - ნახევრად გამტარის კრისტ. მესრის დეფექტი.
**აქცესიური** (ხელშეკრულება) - ხელშეკრულება, რომლითაც სახელმწიფო უერთდება სხვა სახელმწიფოთა შორის ადრე დადებულ ხელშეკრულებას.
**აქცესორული** (ხელშეკრულება ან ვალდებულება) - დამატებითი ხელშეკრულება, რომელიც დაერთვის მთავარ ვალდებულებას.
**აქცია** - 1) ცალკეული მოქმედება; 2) ფასიანი ქაღალდი.
**აქციდენცია** - 1) საგნის არარსებითი, შემთხვევითი, გარეგნული ნიშანი. 2) მცირე პოლიგრაფიული ფორმების აწყობა-დაბეჭდვა.
**აქციზი** - არაპირდაპირი გადასახადის ერთ-ერთი სახეობა.
**აქციონერი** - აქციების მფლობელი.
**აქციუმი** - კონცხი იონიის ზღვასთან (საბერძნ.)
**აქციუსი** ლუციუს - ძვ.წ. II-I სს რომაელი დრამატურგი და ფილოსოფოსი.
**აქჰისარი** - ქალაქი დას. თურქეთში.

(3929)

# ისტორიული(!) ექსკურსი „ფანტაზიის“ ახალი მკითხველებისათვის

*წარსული:* ჩვენი გაზეთი უკვე მეხუთე წელაა გამოდის (პირველი ნომერი გამოვიდა 1996 წლის 7 თებერვალს) და, ბუნებრივია, ამ ხნის განმავლობაში მკითხველთა კონტიგენტი გარკვეულად შეიცვალა; ამიტომაც გვეკითხებიან თუ როგორი იყო ეს გაზეთი ადრე... დასაწყისში იყო ერთი ფარატინა ფურცელი („კროს-ფანტაზიის“ სახელით) და გამოვიდა 7 ნომერი; შემდეგ, თითქმის ერთი წლის განმავლობაში გამოდიოდა ოთხი -3 ფორმატის გვერდით; ამას მოსდია ორმა ნომერმა (1997 წ № 1-2) 8 გვერდის მოცულობით და შემდეგ ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში 6 გვერდზე ჩამოსვლა. 1998 წლის დასაწყისში „ფანტაზიამ“ ზომა შეიცვალა და -4 ფორმატის (ახლანდელი) სახით გამოდიოდა 12 გვერდზე (7 ნომერი), შემდეგ ისევ მოცულობითი უკან დახევა იყო, რასაც დროებით გაზეთის გამოცემის შეწყვეტა მოჰყვა (1998 წ ზაფხული); შემოდგომიდან გაზეთის გამოცემა განახლდა 8 -4 ფორმატის გვერდით... 1999 წლის აგვისტოდან 16 გვერდზე გადავედით... 2000 წლის პირველი ნომერი 20 გვერდიანიც კი იყო და ეს ითვლება ჯერჯერობით ყველაზე დიდ „ფანტაზიად“...

*მომავალი?* - ჯერ ვერ ვახერხებთ 24 გვერდზე გადასვლას... სამწუხაროდ!

# ანონსი

*უახლოეს ნომერში რუბრიკით „მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი“*

# ვივიენ ლი

*(გამოშვება № 19)*





*ფანტაზიის დიდოსტატები*

# ავგუსტა ადა ბაირონ კინგი, გრაფინია ლოველასი

ბაირონმა თავისი შვილი ერთადერთხელ ნახა - როცა გოგონა სულ რაღაც ერთი თვის იყო და, თითქოს-და ამის ასანაზღაურებლად, ავგუსტა ადა საოცრად დაემსგავსა მამას, ოღონდ სულით კი არა, მხოლოდ გარეგნობით... მისი ინტერესთა სფერო უფრო დედის ხასიათისაკენ იხრებოდა. ამ უკანასკნელს კი, ანა იზაბელ ბაირონს, სხვათა შორის, ქმარმა „პარალელოგრამების დედოფალი“ შეარქვა და შესაძლოა ამგვარი სულიერი სხვაობაც იყო მიზეზი იმისა, რომ რომანტიზმის მამამთავარ პოეტს ოჯახური ცხოვრება არ გამოუვიდა და მას ცოლი მშობიარობიდან ერთი თვის შემდეგ „გაექცა“. ბაირონმა კი გეზი იტალიისაკენ აიღო, საიდანაც დაბრუნება აღარ ეწერა, და, რა თქმა უნდა, ვერც-კი წარმოიდგენდა, რომ სამუდამოდ ემშვიდობებოდა აკვანში მწოლ კიბერნეტიკის ლეგენდას. გოგონას დედაც წავიდა ინგლისადან „გამაჯანსაღებელ კრუიზში“, შეატოვა რა ჩვილი თავის მშობლებს, და დაბრუნდა მხოლოდ მაშინ, როცა ბავშვთან უკვე მათემატიკურ მცნებებზე შეიძლებოდა საუბარი... აღმზრდელობითი თვალსაზრისით. პირველი ამგვარი აღმზრდელობითი ღონისძიება კი ის იყო, რომ მან საოჯახო ბიბლიოთეკიდან გაიტანა და დაწვა ბაირონის ყველა წიგნი, რათა შვილს ის დამღუპველი „რომანტიკა“ არ გადასდებოდა, თავად კი, როგორც მაღალი საზოგადოების განათხოვარ ქალს ეკადრებოდა ისეთ ცხოვრებას შეუდგა, თუმცა „პარალელოგრამების დედოფლობა“ გამუდმებით უბიძგებდა მას, რომ შვება მათემატიკაში მოენახა და ამ მხრივ საუკეთესო საშუალება სწორედ შვილის, ადას, შესაბამისი აღზრდა იყო.

ანა იზაბელმა გოგონას აღსაზრდელად შოტლანდიელი მათემატიკოსი ოგასტეს დე მორგანი მოუყვანა. ამ უკანასკნელს კი ცოლად ჰყავდა მერი სომერვილი, რომელსაც მაშინ უკვე თარგმნილი ჰქონდა ფრანგულიდან ინგლისურად ასტრონომ პიერ ლაპლასის „ციური მექანიკის ტრაქტატი“... ასე რომ, ბუნებრივია, მერი სომერვილმაც შეიტანა თავისი წვლილი ადას აღზრდაში.

გოგონამ დედას იმედები არ გაუცრუა; ცამეტი წლის ასაკში იგი თავის დღიურებში, ლექსებს კი არ წერდა, არამედ საფრენი აპარატების მოდელებს ხატავდა. ჩვიდმეტი წლის ასაკში ადა ბაირონი სასახლის მეჯლისზე წაიყვანეს და მეფე-დედოფალს წარუდგინეს, თუმცა ეს კი არ არის მთავარი, მთავარი ისაა, რომ ამ მეჯლისზე მან გაიცნო თავისი ცხოვრების უმთავრესი პროვნება, იმ ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი მათემატიკოსი ჩარლზ ბებიჯი, რომელიც ისააკ ნიუტონის მიერ ნახელმძღვანელებ მათემატიკის კათედრას ედგა სათავეში კემბრიჯის უნივერსიტეტში.

1823 წელს, ჩარლზ ბებიჯმა პრემიერ-მინისტრს წარუდგინა ლოგარითმული მანქანის ნახაზები, რომელიც მოქმედებაში მრავალი გორგოლაჭისა და ღვედის საშუალებით მოდიოდა და რომელიც ითვლება პირველ კომპიუტერად დედამიწაზე და „ბებიჯის ანალიტიკური მანქანის“ სახელითაა ცნობილი დღეს. ამ მანქანის აშენება (დიახ, აშენება!) ათ წელიწადს გრძელდებოდა და 1833 წელს მისი ფინანსირება შეწყდა მეტისმეტი ხარჯებისა გამო და სწორედ ამ წელს გაიცნო მან თავისი საუკეთესო მოსწავლე და საქმის გამგრძელებელი ადა ბაირონი, რამაც დიდად შეუწყო ხელი მის ცხოვრებას როგორც პიროვნული ასევე სამეცნიერო თვალსაზრისითაც.

იმ დროს მაღალი საზოგადოების ქალებისათვის პრესტიჟულად ითვლებოდა „საოცარი მანქანის“ დათვალიერება და ისინი ხშირად დაიარებოდნენ მეცნიერის ლაბორატორიაში, ერთ-ერთი ასეთი ვიზიტისას წვეულთა შორის იყო ადა ბაირონიც, რომელიც ველური თვალებით კი არ უცქერდა მანქანას, არამედ ხუთიოდე წუთში გაიგო მისი მუშაობის პრინციპი და საკუთარი მოსაზრებებიც გაუზიარა მის შესახებ. ჩარლზ ბებიჯი 24 წლით უფროსი იყო თავის მეუღლეზე და მათ მხოლოდ „სამეცნიერო ვნებები“ აკავშირებდათ... ასე რომ 1834 წელს ადა ცოლად გაჰყვა 29 წლის უილიამ კინგს, რომელსაც მალე მემკვიდრეობით გადაეცა ლორდ ლოველასის ტიტული.



ჩარლზ ბებიჯი

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

# რეიტინგი



| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | პასუხები მე-14 გვ. | |
| 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 |

1. პოეტური „იმიჯის“ მქონე ერთ-ერთი მდინარე საქართველოსი (4). 2. „იმედი“, რომელიც 50-იან წლებში ხელფასის სახით ურიგდებოდათ საბჭოეთის მოქალაქეებს (6). 3. ფრანგული ჟურნალი მოდებისა და მისთანა „ხუშტურებისა“ (7). 4. ქარელის რაიონის სოფელი ტრადიციული ქართული დაბოლოებით (6). 5. თვალთან დაკავშირებული დაავადება (8). 6. იხილეთ ფოტო და გაიხსენეთ კინოპერსონაჟი, რომლითაც იგი მაყურებელმა გაიცნო (6). 7. მოწესრიგებულობა, მაგრამ არა პედანტიზმი, ანუ რა? (5). 8. დროის მონაკვეთი, რომელიც სამსახურით გადაღლილი ადამიანისათვისაა შეთხზული (2). 9. ტოპონიმი მიხაილ სვეტლოვის ერთი ცნობილი პოეტური ბალადიდან (9). 10. მარკა ტელევიზორისა, რომელიც ერთდროს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე თამაშდებოდა ლატარიაში (7). 11. მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი დიდი ტბა ვანსა და სევანთან ერთად (7). 12. სასწავლო დაწესებულების სახესხვაობა (2). 13. სხვადასხვა დანიშნულებისა და სახეობის საქონლის ერთიანობა (5). 14. სახელმწიფოებრივი, და საერთოდ მსხვილსუბიექტობრივი, გაერთიანება (7). 15. გამზიარებელი და მიმდევარი იმ თეორიისა, რომლის ღანახმადაც თავად ადამიანის ორგანიზმში არსებობს რაღაც „ღვთიური სასიცოცხლო ძალა“ (10). 16. ტერიტორიის დაყოფის რელიგიური საფუძველის ერთეული (4). 17. რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მაღალი ჩინი (6). 18. გიორგი ლეონიძის ლექსი (6). 19. სოფელი თიანეთის რაიონში (7). 20. ღონისძიება, რაც ჩვენს ცნობიერებაში ბედნიერებასთანაა გაიგივებული (1). 21. პერსონაჟი ქალბატონი ფილმისა „რეკორდი“ (4). 22. მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანისტორიულ-ფუნქციონალური მდინარე (4). 23. თანამედროვე მსოფლიოს აუქციონთა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქსელი (9). 24. სახელი, რომელიც საქართველოში ქალსაც შეიძლება ერქვას და კაცსაც (4). 25. მსოფლიო ოკეანიის ყველაზე დიდი მკვლევარი (5). 26. 70-იანი წლების ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი (10). 27. „ატრიბუტი“, რომელიც ყველა ნაყოფს გააჩნია, მაგრამ განსაკუთრებული სიმკვეთრით - მსხალს (1). 28. ერთ-ერთი პოსტკომუნისტური ევროპული ქვეყნის ვალუტა (5). 29. ერთ-ერთი იშვიათი 3-ასოიანი სახელი მამაკაცისა საქართველოში (2). 30. თილისმური დანიშნულების ერთ-ერთი საგანთაგანი. 31. თანამედროვე იტალიელი კინორეჟისორი (8).



**ქულათა მაქსიმალური რაოდენობა - 170**

**თარაზულად:** 1. გემოვნების მაძიებელთათვის მეორე რიგში საჭმელი. 4. მშენებარე დიდი ნავთობსადენის ბოლო პუნქტი. 7. ვაჟას „ბახტრიონის“ პერსონაჟი. 11. ჩრდილოეთი და სამხრეთი, ჩაწერეთ სიტყვა, რომელიც საერთოა ორივესათვის. 18. გამოცდის სახეობა – მასწავლებლის გასაუბრება სტუდენტებთან. 19. დამწერლობა, რომელსაც მეცნიერებაში მრგვლოვანი ჰქვია. 20. საგზაო ფუტლიარი, რომელშიც ტუალეტისათვის საჭირო ნივთებია ჩალაგებული. 23. რა ჰქვია ქართველ მწერალს ყაჭეიშვილს, ავტორს რომანისა „გამოცხადება“?. 24. როგორ დავახასიათოთ ერთი სიტყვით უცნაური, ახირებული ადამიანი? 25. „მე ვარ მისანი ხარი წიქარა“ – ამ სიტყვების ავტორის გვარი. 28. მდინარე ლიტვაში. 29. კანადის დედაქალაქი. 30. უსაფუძვლო მედიდურობა, ყოყოჩობა. 35. რუსი პაროდისტი, რომელმაც თავისი კარიერა ანსამბლ „სამოცვეტში“ დაიწყო. 36. 70-იანი წლების იტალიელი მომღერალი, სალვატორე.... 37. საბუდარში ჩატოვებული კვერცხი, რომლის გარეშეც დედალი თავის მოვალეობას ვერ შეასრულებს. 38. ხალხური კომედიის ჟანრი ძველ რომში, რომლის სამშობლოა ქალაქი ატელა. 43. ზამბიის დედაქალაქი. 44. მე-18 საუკუნის ამერიკელი ფიზიკოსისა და პოლიტიკური მოღვაწის მოგვარე თანამედროვე „მძიმეწონიანი“ ამერიკელი მომღერალი ქალი, არეტა.... 45. ნამდვილი გვარი მწერლისა, რომელმაც ქართულ ლიტერატურას „მიმქრალი შარავანდედი“ აჩუქა. 46. აქ ცნობილი შავკანიანი ტელეჟურნალისტის, უინფრის სახელი გაიხსენეთ. 50. რუსი საბჭოთა მინერალოგი და გეოქიმიკოსი, აკადემიკოსი ვლადიმერ..... 51. საბერძნეთის საფეხბურთო გუნდი. 52. სასვენი ნიშანი. 56. 70-იანი წლების აზერბაიჯანული ვოკალური კვარტეტი. 57. ორლულიანი სანადირო თოფის ორი ერთდროული დაცლა. 58. უხუცესთა საბჭო ძველ საბერძნეთში. 59. პატარა ქალაქი დნეპროპეტროვსკის ოლქში, მდინარე სამარასთან. 63. დიდი მოურავის მშობლიური სოფელი. 64. ვინ არის სალმან რუშდი თავისი ქვეყნისთვის? 65. ის, რასაც წარმოადგენს პროკურორი სასამართლო პროცესზე. 70. „**E**“ ვიტამინის სახელწოდება. 71. ოქროს ან ვერცხლის აღვირის მორთულობა. 72. შესანიშნავი ქართველი მწერალი, ლევან.... 73. საბჭოთა ისტორიკოსი, ავტორი ტალეირანისა და ნაპოლეონის შესახებ შექმნილი ისტორიული პორტრეტებისა. 78. როგორი ჭურჭლის კანონს ვიცნობთ ფიზიკიდან? 79. სიმღერის მუზა ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. 80. აფრიკის სახელმწიფო (ტირე არ იწერება). 81. პირველი კენტი რიცხვი. 86. საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი, რომელსაც ტიერი ჰქვია. 87. ელექტროსიგნალების ასახვა ეკლარნზე. 88. ორენოვნება. 92. ნახშირწყლების ჯგუფი, რომელსაც მიეკუთვნება ლაქტოზა, საქაროზა და სხ. 93. ეკლესიიდან განდევნა, შეჩვენება. 94. რუსული „**КВН**“-ის უცვლელი (თუ თანამედროვე ენაზე ვიტყვით) დიჯეი. 97. სამხატვრო მუზეუმი მადრიდში. 98. ყველასაგან განცდილი ე.წ. კუნთების უნებლიე „თამაში“ (მაგ. „მარცხენა თვალი მითამაშებს“). 99. ის, რასაც წარმოადგენს ჩვენთვის ბეთჰოვენის, მოცარტის, ტოლსტოის, ჯავახიშვილის და ა.შ. ნაწარმოებები. 100. მე-19 ს-ის გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორი იოჰან.... 105. მე-20 ს-ის ფრანგი ეთნოგრაფისა და სოციოლოგიის გვარის პირველი ნაწილი (მეორე ნაწილია სტრაუსი, სახელი კლოდ). 106. რა არის თავისი არსით, თუნდაც, ინტერნატურა? 107. ნახევარგამტარებით მომუშავე პატარა რადიომიმღები. 108. ის, რასაც ადრე შაურიანის დადება შველოდა. 112. ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტი,..... სადათი. 113. მე-18 ს-ის ფრანგი მწერალი ქალი ანა ლუიზა ჟერმენა დე.... 114. ფილტვების ანთება შეიძლება იყოს მწვავე და კიდევ როგორი? 115. იტალიის ერთ-ერთი ოლქის სახელწოდების მეორე ნაწილი. 121. უხამსი, ვულგარული... კიდევ? 122. გაიხსენეთ რუსული ფილმები „ძმები კარამაზოვები“, „იდიოტი“... მათი რეჟისორია პირიევი, რა ჰქვია მის მეუღლეს რომელიც მეუღლის გვარს ატარებს და ამავე ფილმებში თამაშობს? 123. დოდო აბაშიძის ერთ-ერთი კინოროლი. 127. ოტია იოსელიანის სოფელი. 128. მე-18 საუკუნის უკრაინელი ისტორიკოსი, ფოლკლორისტი, კრიტიკოსი... მიხეილ პეტრეს ძე. 129. საბჭოთა კავშირის მარშალი, ეროვნებით სომეხი, ივანე.... 132. მარინა ვლადის პარტნიორი ფილმიდან „ჯადოქარი“, მორის..... 133. პირის სიმშრალე მეცნიერულად. 134. რა არის კროსვორდი თავისი არსით? 135. 70-იანი წლების ესტონელი მომღერალი, იაკ.... 139. გიგანტური წიწვოვანი ხე, რომელსაც ჩეროკების ტომის ინდიელთა ბელადის სახელი დაენათლა. 140. ანგლო-საქსურ ქვეყნებში ამა თუ იმ პირის რწმუნებულის ანუ ნდობით აღჭურვილი პირის სახელწოდება. 141. სტენდალის ნამდვილი გვარი. 142. განხეთქილების ხილი. 148. წვრილი, ყვითელი კურკიანი ნაყოფის მქონე ეკლიანი ბუჩქი. 149. საზოგადოებრივი და პოლიტიკური ბრძოლის ხერხები. 150. მსოფლიოს 1990 წლის მოსფლიო ჩემპიონატის გერმანელთა საუკეთესო ფეხბურთელი. 151. შუა საუკუნეების ევროპაში ასე უწოდებდნენ ციხე-სიმაგრეს. 157. აღმოსავლეთმცოდნის ლათინური სინონიმი. 158. **ОРТ**-ს გადაცემის, „**Угадай мелодию**“-ს წამყვანი. 159. რომელი რელიგიის მიმართულებაა სუნიზმი, ან თუნდაც შიიზმი? 160. ვინ არის სამყაროს გვირგვინი შუა საუკუნელი სქოლასტების წარმოდგენით. 161. სესილია თაყაიშვილის კინოროლი. 162. რუსული პური. 163. დიდი ზომის დეკორატიული მცენარე.

**შვეულად:** 1. ნიკო ფიროსმანის დედის გვარი. 2. ქვეყანა, რომლის დედაქალაქია ბელმოპანი. 3. ჩრდილოკავკასიის ერთ-ერთი ტომის წარმომადგენელი. 5. სანკტ-პეტებურგის სიამაყე. 6. თანამედროვე ქართველი პოლიტკოსი ქალი, ....... კირთაძე. 8. 70-იანი წწ უდროოდ გარდაცვლილი საქართველოს ტელევიზიის დიქტორი (სახელი და გვარი). 9. მუშაობა გემზე, რომელშიც მთელი ეკიპაჟი მონაწილეობს. 10. ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ქარების მბრძანებელი. 12. შსს ერთ-ერთი სამსახურის განსაზღვრება. 13. ორგანიზმის მოწამვლა თირკმელების დაავადებების დროს მათს მიერ შარდის გამოყოფის შეწყვეტის შედეგად. 14. სრული მსგავსება, ანუ რა? 15. ერთ-ერთი სასწავლო-შემეცნებითი (არაქართული) სატელევიზიო არხი. 16. ლინგვისტური მოვლენა, რომელსაც ბერძნულად მეტაფონია ჰქვია, გერმანულად კი ქლერს ისე, როგორც უნდა ჩაწეროთ. 17. ხეობის სახელწოდება გერმანიაში, სადაც 1856 წელს პირველად აღმოაჩინეს თანამედროვე ადამიანის უშუალო წინაპრის ჩონჩხის ნაწილები. 21. არსენა ოძელაშვილის მოღალატე ნათლიის სახელი. 22. ცხენის კისრის დასასრული ბეჭებთან თავთან. 26. რაჟდენ გვეტაძის რომანი. 27. თანამედროვე რუსეთის ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკოსი. 31. ლოკალური ტკივილგაყუჩება. 32. ....... პუგაჩოვი. 33. მკვლელობა, რომელიც ჩადენილია მძიმე, უკურნებელი სენით შეპყრობილი ავადმყოფის თხოვნით მისი შებრალების მოტივით. 34. საქართველოს ექს-ფინანსთა მინისტრი. 39. სოფელი კასპის რაიონში, ცნობილი უძველესი გორა-სამარხებით. 40. მსახიობის მიწვევა სპექტაკლებში მონაწილეობისათვის გარკვეული ვადითა და პირობებით. 41. ხალხის ძველი რწმენით, დედამიწის სიღრმე, სადაც ბნელი ძალები ბინადრობდნენ. 42. კედელზე გაკრული პლაკატის, მოწოდების და განცხადების სახელწოდება ჩინეთში. 47. მეუღლის ღალატი. 48. საგანთა დამახასიათებელი მოხაზულობა, რომელიც შორი მანძილიდან აღიქმება... ასეთი სახელწოდებით სსრკ-ში მოდების ჟურნალი გამოდიოდა. 49. 1937 წლის 26 აპრილს ქალაქი გერნიკა გაანადგურეს... ზუსტად 49 წლის მერე კი მეორე ქალაქში მოხდა კატასტროფა, აქ ამ მეორე ქალაქის სახელი გაიხსენეთ. 53. თვე, როდესაც მარიამობას აღვნიშნავთ. 54. რძეში მოხარშული წვრილად დაჭრილი ცომი. 55. როგორი შეიძლება იყოს სასოწარკვეთილი ადამიანი? 60. სრუტე მარმარილოსა და შავ ზღვებს შორის. 61. ქალაქი მოლდავეთში, მდინარე დნესტრზე. 62. გიგანტური წიწვოვანი ხე, რომლის სახელწოდებაც ჩილეს ერთ-ერთ პროვინციას უკავშირდება. 66. ცნობილი „ბარდა“ ჩვენი ლიტერატურიდან. 67. აშშ-ს რიგით 22-ე და 24-ე პრეზიდენტის გვარი. 68. ბუკის გერმანული სინონიმი. 69. მეტრული სისტემის შემოღებამდე ევროპის ქვეყნებში არსებული წონის ერთეული. 74. ადამიანის შიგნითა ყურში მოთავსებული აპარატის სახელწოდება, რომელიც დიდ როლს ასრულებს სხეულის წონასწორობის დაცვაში. 75. სოფელი გორის რაიონში. 76. პატარა მაღაზიის თანამედროვე სახელწოდება. 77. სისხლძარღვის სანათურის დაცობა თრომბით. 82. თანამედროვე ქართველი მხატვარი, გობელენების ოსტატი, გივი... 83. ვახტანგ გორგასლის მამის სახელი. 84. ბერძნულ მითოლოგიაში: ფრთოსანი არსება, რომელიც მგზავრებს კლავდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოცანას ვერ გამოიცნობდნენ. 85. XX საუკუნის ცნობილი ამერიკელი მომღერალი. 89. ერთ-ერთი ქართული მინერალური წყალი. 90. რუსეთის ერთ-ერთი გმირი ქალაქი. 91. გვადი ბიგვას ერთ-ერთი შვილი. 95. ძლიერი სურვილი. 96. რა ჰქვია სახელგანთქმულ მუსიკოსს, როსტროპოვიჩს? 101. ძველი რომის ორატორული ხელოვნების თეორიტიკოსი, მარკუს ფაბიუს... (მისი გვარი წააგავს ერთ რიცხვს ბევრი ნულებით). 102. უაზრო ლაპარაკის სახესხვაობა. 103. კაბა, რომელსაც ქართულად „ხაბარდას“ ეძახდნენ. 104. ხელის გულზე შესაწვავი რამ ერთი ფიგურალური გამოთქმის თანახმად. 109. ნიმფა, რომელიც ზევსმა დიდი დათვის თანავარსკვლავედად აქცია. 110. სახანძრო რაზმის უფროსი. 111. მაჰმადიანთა დღესასწაული. 116. მედიკამენტი, რომელსაც ათეროსკლეროზის სამკურნალოდ იყენებენ. 117. ედიტა პიეხას ბოლო ქმრის გვარი. 118. დიაგნოზის დასმა, ანუ.... 119. რა დაგვივლის ხოლმე სიცივის დროს ტანში? 120. როგორი ხალიჩაა ტატამი? 124. რა ჰქონდათ მამა-შვილ ბრეგაძეებს ბევრი? 125. შემდეგ, მერე, ანუ როდის? 126. თურქული წარმოების უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილი. 130. ე.წ. „ჭინჭრის ციება“. 131. პოპულარული რუსული ესტრადის მომღერალი ქალი, ლუბა.... 136. ბუფეტის ნაირსახეობა. 137. ის, რის სახესხვაობასაც წარმოადგენს ნოტა, მემორანდუმი და პროტესტი. 138. ქართველი პოეტი, ბატონი რევაზი. 143. 60-იანი წლების ფრანგი მომღერალი ქალი. 144. საგანგებო წერილი. 145. არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე მამაკაცი. 146. ქალაქი შვეციაში, ცნობილი საერთაშორისო უნივერსიტეტით. 147. თანხმობის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა. 152. ჭაბუა ამირეჯიბის ერთ-ერთი რომანის გმირის სახელი. 153. „ჩემი“ გერმანულად... თუ არ იცით ჰიტლერის წიგნის სახელწოდება გაიხსენეთ, რომელშიც დაფიქსირებულია ეს სიტყვა. 154. ტ. ჰარდის ყველაზე ცნობილი რომანის მთავარი პერსონაჟი. 155. მეტყველების ნაწილი. 156. რა ჰქვია ექიმს „თეთრ ბაირაღებში“, რომელიც ყველა დაავადებას ლუმინალით მკურნალობს?

**შეადგინა ლალი ჟიჟინაძემ**

**ქალბატონი ლალი ჩვენი მკითხველია და გვსურს დიდი მადლობა მოვახსენოთ ასეთი კარგი კროსვორდის შედგენისათვის.**



# ფანტაზიორი

რუბრიკას უძღვება
ვახტანგ ელერდაშვილი
(პასუხები მე-14 გვერდზე)

(პასუხები მე-14 გვერდზე)

***კითხვა №1***

არსებობს ძველი ფრანგული ტრადიცია, რომლის თანახმადაც ბავშვის დაბადებისას მის გარშემო ბევრ ჩირაღდანს ანთებენ და ყოველ მათგანს (ჩირაღდანს) რომელიმე წმინდანის სახელს არქმევენ...

**შემდეგ რა ხდება? (12 ქ.)**

***კითხვა №2***

1823 წელს ეს დაახლოებით 14 საათს გრძელდებოდა, 1839 წელს - ერთ საათს, 1850 წელს - 1-2 წუთს, ჩვენს დროში კი ამის გაკეთება პრაქტიკულად ყველას შეუძლია რამოდენიმე წამში.

**რა იგულისხმება? (10 ქ.)**

***კითხვა №3***

ერთხელ ერთ ამერიკულ კომპანიას, რომლის კლიენტადაც ფაქტიურად მთელი აშშ ითვლება, მოუხდა იმის მტკიცება, რომ მათ მიერ წარმოებული პროდუქცია არ იწვევს სიმსუქნეს, რადგან მასში მხოლოდ ერთი მეათედი კალორიაა.

**რას აწარმოებს ეს ორგანიზაცია? (9 ქ.)**

***კითხვა №4***

1992 წელს სამშენებლო მექანიკის ინსტიტუტმა იაპონიაში ჩაატარა უცნაური ექსპერიმენტი - ამერიკულ ბომდამშენ „ფანტომს“ 700 კმ/სთ სიჩქარე მიანიჭეს და მთელი ძალით შეაჯახეს 4 მეტრის სიგანის მქონე ბეტონის კედელს... კედელმა დარტყმას გაუძლო, უკრაინაში კი ასეთივე კედელი ახლაც დიდ შეშფოთებას იწვევს...

**რა ორგანიზაციისათვის ამზადებენ ასეთ კედლებს იაპონიაში? (7 ქ.)**

***კითხვა №5***

ამ პროფესიულ ტესტში პირველ ადგილზე ასეთი კითხვაა დასმული: „შეგიძლიათ თუ არა უფანჯრო ოთახში ძილი?“.

**რა პროფესიის ადამიანებისათვისაა განკუთვნილი ეს ტესტი? (10 ქ.)**

***კითხვა №6***

ცნობილმა ილუზიონისტმა ლუიჯი ბორჯიამ ასეთი ფოკუსი მოიგონა (თუმცა არასოდეს განუხორციელებია ის) - ფოკუსნიკი ცილინდრიდან იღებს ვაშლს და დანას და თავისთან იწვევს ვინმე მაყურებელს. მაყურებელი გამოდის, ფოკუსნიკი ვაშლს შუაზე ჭრის და ნახევარს აძლევს მაყურებელს, რომელიც ჭამს ამ ნახევარ ვაშლს და 15 წამში სცენაზე მკვდარი ვარდება... ფოკუსნიკი ჭამს იგივე ვაშლის მეორე ნახევარს და არაფერი მოსდის...

**რატომ კვდება მაყურებელი? (11 ქ.)**

***კითხვა №7***

ნილს ბორის აზრით, ეს არის ადამიანი, რომელმაც იცის ზოგიერთი ხშირადგანმეორებადი შეცდომა მოცემულ სფეროში და შეუძლია მათი თავიდან აცილება...

**რა ეწოდება ასეთ ადამიანს? (12 ქ.)**

***კითხვა №8***

შვეიცარელმა ჟან-ჟაკ ბაბელმა გამოთვალა, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3500 წლიდან კაცობრიობის ისტორიაში იყო მხოლოდ 292 წელი, როცა რა იყო...

**რა? (6 ქ.)**

***კითხვა №9***

ეს არის ყველაზე საშინელი სენი დედამიწაზე. ამით ადამიანები 15-20 წლის ასაკში ავადდებიან და სიკვდილამდე სჭირთ ის. ის ფართოდაა გავრცელებული, დედამიწის მოსახლეობის ერთმერვედს მოიცავს და პრაქტიკულად უკურნებელია; აშშ-ს საპატენტო ბიუროში მასთან ბრძოლის 186 საშუალებაა დაფიქსირებული და არცერთი მათგანი არ ამოქმედებს; ის მეტად ვერაგი სენია - ადამიანი ვერ გაიგებს, რომ ის სჭირს, სანამ მას ამის შესახებ ვინმე არ ეტყვის... ავადმყოფს ხშირად აქცევენ ზურგს ოჯახის წევრები და მეზობლებიც კი...

**რა ავადმყოფობაა? (8 ქ.)**

***კითხვა №10***

**რომელი დიადი მშენებლობა დაღუპა ინტერნაციონალიზმა? (5 ქ.)**

***კითხვა №11***

ჰენრიხ ჰეინემ ამის შესახებ თქვა: „ის ქალს ჰგავს - „თუ ლამაზია, ერთგული არ არის და თუ ერთგულია, ულამაზოა“. თავად ჰეინეც იყო ამ საქმით დაკავებული, ზემოთხსენებულმა ფრაზამ კი ეს საქმე გამოიარა...

**რა? (6 ქ.)**

***კითხვა №12***

კანადის ერთ-ერთი კომპანია, რომელიც არაყს აწარმოებს, აპირებს ათი ათასი წლის წინ დაკონსერვებული წყალი გამოიყენოს თავის წარმოებაში, რათა მიიღოს მსოფლიოში ყველაზე სუფთა არაყი

**სად აპირებენ ისინი ასეთი წყლის მოპოვებას? (8 ქ.)**

# საჩოგბურთო ჭამა-სმა







## „ფანტაზია“

მეორე ტური 25.09. 18-20 სთ

**– ტურნირი ჩატარდება 12 ტურად, კვირაში ერთხელ, ორშაბათობით საღამოს 18-20 საათებში.**

**– ყოველ ტურში გამოქვეყნდება 3 სატურნირო და ორი საპრემიო კითხვა. 3 სატურნირო კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემის შემთხვევაში გამარჯვებული მიიღებს 10 ლარს (ორი და მეტი გამარჯვებულის შემთხვევაში ეს თანხა განაწილდება მათ შორის); ორ საპრემიო კითხვაზე პასუხის გაცემა სავალდებულო არ არის, მაგრამ თუ ვინმე ისურვებს ამ კითხვებზე პასუხის გაცემას და ორივეს ზუსტად ამოიცნობს, მიიღებს საპრემიო 10 ლარს (ორი და მეტი გამარჯვებულის შემთხვევაში ეს თანხაც განაწილდება მათ შორის). საპრემიო პასუხები ჩაეთვლებათ მხოლოდ მათ, ვინც 3 სატურნირო კითხვასაც სწორად უპასუხებს.**

**– საპრემიო კითხვებზე ქულა არ იწერება.**

**– მესამე ტურნირის საბოლოო გამარჯვებულს დამატებით მიეცემა კიდევ 10 ლარი.**

**– ტურნირში ჩართვა შეგიძლიათ ნებისმიერი ტურიდან.**

**– დაგვირეკეთ – 79-53-70, 8-77 45-19-80**

**პირველი ტურის პასუხები და შედეგები**

*სატურნირო კითხვები*: 1. რევოლუცია. 2. გენიალობა გადამდები არ არის. 3. ფული. *საპრემიო კითხვები:* 1. ნოემ დაიჭირა ორი თევზი, რადგან მხოლოდ ორი ჭიაყელა ჰყავდა. 2. მამონტები კიდობანში არ აიყვანა ნოემ.

სულ ტურში მონაწილეობა მიიღო 22 ადამიანმა.

**2 ქულა**: გია ჯვარშეიშვილი - 3, ვაჟა პაპუაშვილი - 3, დიანა საღრიშვილი - 3 , სოფიკო დუნდუა - 3, მერი მამრიკიშვილი - 3. ამ ხუთ მონაწილეს შორის განაწილდა პირველი ტურის 10 ლარი.

**2 ქულა**: ნადეჟდა ელიზბარაშვილი, ნოდარ გოქაძე, ანდრო მჭედლიშვილი, სოსო ნიკოლაშვილი, დემურ აფციაური, ბაჩანა შენგელია, ნუკრი მაისურაძე, გია წერეთელი.

**1 ქულა**: ლექსო ლეკიშვილი, გიორგი გვასალია, დათო ჭილიტაშვილი, ეკა ჩორგოლიანი, ეკა ჩინჩალაძე, მზია ღვინიაშვილი, ვლადიმერ ყაჯრიშვილი, მერაბ წიკლაური.

ერთ მონაწილეს ქულა არ დაეწერა.

**სატურნირო კითხვები**

***პირველი კითხვა***

ამას უწოდებენ დამქანცველ ხელოვნებას იმისას, რომ სიმდიდრე აქციო სიმდაბლედ, ძალაუფლება - სირცხვილად, ცხოვრება - სინანულად, მემკვიდრეები კი - უდანაშაულო უმადურებად...

**რა არის ეს?**

***მეორე კითხვა***

არსებობს აზრი, რომ თვითმფრინავი ოპტიმისტებმა გამოიგონეს...

**მაშ, რა გამოიგონეს პესიმისტებმა?**

***მესამე კითხვა***

...არც ერთი იყო სლავი და არც მეორე - რუსი... ორივე „ბედკრული კომუნიზმის“ ეპოქაგამოვლილი ქვეყნების უპირველესი შვილები იყვნენ და, რა თქმა უნდა, კომუნიზმის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდათ... კომუნიზმის შესახებ არაფერი იცოდა მესამემაც, რომელმაც ზემოხსენებული ორის სამშობლოები თავისი ხელოვნებით დაამოყვრა და ახლა მეოთხის სახელობის ქუჩაზე „დგას“, რომელსაც ასევე არ ჰქონდა წარმოდგენა კომუნიზმის შესახებ თავისი ეროვნების მიუხედავად...

**ვინ იყო მესამე?**

**საპრემიო კითხვები**

***1.*** ძველ ჩინეთში ამბობდნენ - „როცა მარტო ხარ, შენს ცოდვებზე იფიქრეო...“ ამავე გამოთქმის მეორე ნაწილში კი ნათქვამია - „როცა საზოგადოებაში ხარ...

**რა ქენიო?**

***2.*** გოეთემ თქვა: „ვინც არ იცნობს უცხოს, ვერ იმსჯელებს საკუთარზე“

**რა იგულისხმა მან?**

1. რომის პაპის წერილი, მიმართვა კათოლიკეებისადმი. 2. ღრმული ყბის ძვალზე, სადაც მოთავსებულია კბილის ფესვი. 3. დამახასიათებელი სუნის მქონე აირი, სახეცვლილი ჟანგბადი. 4. ვის კალამს ეკუთვნის რომანი „ჯუნგლები“. 5. ამერიკელი ფანტასტი ... ბრედბერი. 6. დიდი ქალაქების სატრანსპორტო საშუალება. 7. სახეცვლილება, გარდაქმნა. 8. უნებლიე შეცდომა. 9. ნაბეჭდი პროგრამა ბროშურის სახით. 10. ძველებური ევროპული ცეკვა. 11. აფროდიტეს ზეწოდება. 12. ნიკოტინმჟავას ნაკლებობით გამოწვეული დაავადება. 13. ფილმი დემი მურის მონაწილეობით. 14. (...)-ვეგასი. 15. მეცნიერება ინფორმაციის მიღების, გადაცემისა და შენახვის შესახებ. 16. ორგანოთა ევოლუციის გარდაქმნის ერთ-ერთი გზა. 17. რუსული ავტომობილის მარკა. 18. სოფელი ონის რაიონში. 19. „მას“ იყენებენ ტელევიზიაში. 20. სპორტის ოლიმპიური სახეობა. 21. ეგვიპტის მეფეთა ტიტული. 22. „მისი“ ხატვა უყვარდა შიშკინს. 23. მთაც და სოფელიც სენაკის რაიონში. 24. ისტორიული ოლქი შუა აზიაში. 25. იგივეა, რაც ჭიშკარი. 26. ბერძნული ანბანის ასო. 27. ჰოლივუდის მსახიობი ქალი. 28. მზის ირგვლივ მბრუნავი მცირე პლანეტა. 29. ერთ-ერთი რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენელი. 30. გამყოლი, გამცილებელი (ძვ. ქართ.). 31. იგივეა, რაც ჯიხვი. 32. სოფლის მოხელე ძველად. 33. უძრავი, ცალკე მდგომი საგანი, რომელიც გამოიყენება ადგილმდებარეობაში გასარკვევად. 34. კორინთოს მეფის უზნეო ცოლი (მითოლ.). 35. მიკროორგანიზმების მცირე კულტურა. 36. პარფიუმერული ფირმა ბულგარეთში. 37. ფრანგი ანარქისტი პიერ ჟოზეფ ... 38. კომპიუტერული ქსელი. 39. მდინარე ვოლგის ძველი სახელწოდება. 40. ფრანგი მწერლების (მამა-შვილის) გვარი. 41. კოლექციის საცავის სახესხვაობა. 42. მსოფლიოში უდიდესი ზამთრის სპორტკომპლექსი. 43. საბჭოთა მწერალ კამპოვის ფსევდონიმი. 44. ცვალებადი, მოულოდნელი. 45. გვარი კაცისა, რომელიც გვასწავლის როგორ მოვიპოვოთ მეგობრები. 46. ორმილიანი ოპტიკური ხელსაწყო. 47. „დეპრესია“ ეკონომიკაში. 48. აიეტის ცოლი. 49. ქალაქი სამარის ოლქში. 50. ფრანგი მსახიობი ქალი. 51. მორალური ხასიათის გამონათქვამი. 52. ტანიც (საბა) და მდინარის კალაპოტიც. 53. სოფელი ზუგდიდის რაიონში. 54. საკოსტუმე ან საპალტოე ქსოვილის სახესხვაობა. 55. წარსულში ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი. 56. ალპიური ყვავილი. 57. მუს. საკრავი, რომელიც შედგება ორი ერთმანეთზე გადაბმული, ტყავგადაკრული თიხის ქილისაგან. 58. აბეზარი სარეველა, ხმარობენ ცხოველთა საკვებად. 59. საბჭოთა პოეტი, აკმეიზმის წარმომადგენელი. 60. იგივეა, რაც ხახა. 61. ინდური სიმებიანი, ხემიანი მუს. საკრავი. 62. აღვირის მორთულობა, ოქროს ან ვერცხლის. 63. გამოფენა, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება. 64. ერთ-ერთი კინო მეველე. 65. მომცრო ნავი (ძვ). 66. საქმიანი, დაუდგრომელი. 67. ყურის ანთება. 68. წარმომადგენლობითი ორგანო ევროპის ზოგ ქვეყანაში. 69. არგენტინელი ფეხბურთელი. 70. რუსეთის ავტონომიური რესპუბლიკა. 71. შავიზღვისპირა კურორტი. 72. ლაოსის მოსახლეობა. 73. ჩინელთა ბელადი. 74. სახელმწიფო აფრიკაში. 75. „ეს“ იგივეა გონებისათვის, რაც კანონი მოქმედებისათვის (ქ. ქუბერი). 76. შექსპირის ტრაგედიის პერსონაჟი.

**შეადგინა ლიანა კუსრაძემ**






## ავგუსტა ადა ბაირონ კინგი, გრაფინია ლოველასი

*(მე-3 გვერდიდან)*

ვერც ქმარმა და ვერც სამმა შვილმა ხელი ვერ შეუშალა ადას იმაში, რასაც იგი თავისი ცხოვრების მოწოდებად თვლიდა. გათხოვებამ მას ხელიც კი შეუწყო, რადგან გაუჩნდა ფინანსირების განუწყვეტელი წყარო გრაფ ლოველასის საგვარეულო მამულის სახით.

პირველი წერილით ბებიჯს ადამ 1836 წელს მიმართა, როცა იგი პირველ შვილზე იყო ფეხმძიმედ და სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია ეს მიწერ-მოწერა. სანამ ადა თავისი ოჯახის საქმეებით იყო დაკავებული, ბებიჯის თავზე შავი ღრუბლები შეიკრიბა. მისი გაუგებარი აგრეგატი მოდიდან გამოვიდა და იგი იძულებული შეიქნა მასთან ერთად ევროპაში სამოგზაუროდ წასულიყო. 1842 წელს ანალიტიკურ მანქანას გაეცნო იტალიელი მათემატიკოსი მანიბერა, აღფრთოვანდა მისით და დეტალურადაც მანვე აღწერა. მანიბერას სტატია ფრანგულად გამოქვეყნდა და მისი ინგლისურად თარგმნა ადა ბაირონმა ითავა; მოგვიანებით ბებიჯმა მას სთხოვა თარგმანისათვის კომენტარებიც დაერთო და სწორედ ეს კომენტარები აძლევს შთამომავლობას იმის მტკიცების საშუალებას, რომ ადა ბაირონი პლანეტის პირველი პროგრამისტია. სხვა დანარჩენთან ერთად მან ბებიჯს აცნობა, რომ შედგენილი ჰქონდა ოპერაციათა გეგმა ანალიტიკური მანქანისათვის, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იყო ბერნულის განტოლების ამოხსნა. თუმცა ახლა საკითხავია „ოპერაციათა გეგმაა“ იყო ეს თუ მსოფლიოში პირველი კომპიუტერული პროგრამა? ადას თქმით, „ანალიტიკური მანქანა შეძლებს ალგებრული ფორმულების ისეთ „ქსოვას“, როგორც ამას ჟაკარდის საქსოვი დაზგა აკეთებს“. გარდა მათემატიკისა, ადას მუსიკაც იტაცებდა და სწორედ მან იწინასწარმეტყველა, რომ დროთა განმავლობბაში ანალიტიკური მანქანა მუსიკის შეთხზვასაც შეძლებდა და ამ წინასწარმეტყველების ჭეშმარიტება დღეს ძნელი დასაჯერებელი არ არის.

ადას თანამედროვენი მას ეშმაკთან კავშირს სწამებდნენ, ჩარლზ დიკენსი კი სრული სერიოზულობით წერდა, რომ მისი ვიზიტის შემდეგ ოთახში უწმინდური ძალების შლეიფი რჩება. ეს ეჭვები გაჩნდა არა იმიტომ, რომ სატანამ მას რაიმე საიდუმლო გაუმხილა ან რომ იგი სატანისებრად ჭკვიანი იყო. ლონდონის ელიტას უფრო ის აშფოთებდა, თუ რა დემონური ენერგიით სძალავდა იგი ფულს მაღალ საზოგადოებას ბებიჯისათვის. იგი ხომ (აწ უკვე!) გენიალური ჯორჯ გორდონ ბაირონის შვილი იყო! 1843 წელს ადამ თავის სულიერ მამას მისწერა: „ძვირფასო ბებიჯ! მე თქვენთვის ვმუშაობ ისე, როგორც ეშმაკი (რომელიც, შესაძლოა, ვარ კიდეც...)“. ცნობილია მისი სხვა გამონათქვამიც:

„ვფიცავ ეშმაკს, რომ არ გაივლის 10 წელიც და მე სამყაროს იდუმალებას სასიცოცხლო სისხლს გამოვწოვ... არავინ იცის, თუ რა შემაძრწუნებელი ძალა და ენერგია იმალება ჩემს პატარა, სუსტ სხეულში...“

იბადება კითხვა - იგი მხოლოდ სპონსორი იყო ბებიჯისა თუ მეცნიერი-მათემატიკოსიც? გაზვიადებული ხომ არ არის მისი ანალიტიკური შესაძლებლობანი? ეგებ მითიური პერსონაჟი „ადა ბაირონი“ მხოლოდ იმისათვის იშვა, რომ სამეცნიერო-პოპულარული წიგნების მკითხველები გაეხალისებინა იმის მტკიცებით, რომ „მათემატიკოსებიც ადმანიაბი არიან“?!

ყველა ენციკლოპედიაში ავგუსტა ადა კინგ ლოველასი მოხსენიებულია, როგორც ინგლისელი მათემატიკოსი, და მის ძირითად ნაშრომად მიჩნეულია მანიბერას სტატიის თარგმანი და მასზედ დართული ანოტაცია, თითქოს-და მას არ ამოეხსნას ბერნულის განტოლება, რაც შეუცვლელია ჰიდრავლიკაში...

იყო კიდევ ერთი იდეაც, რომელმაც ლამის დაღუპა ბებიჯის სამეცნიერო კარიერა; ლედი ლოველასი დარწმუნებული იყო, რომ ანალიტიკურ მანქანას შეეძლო დოღის შედეგების წინასწარმეტყველება, თუმცა ვერ გაიგეს მანქანას სჭირდა რამე თუ ბუნება იყო გადარეული, ცხენები კი ჯიუტად არ ემორჩილებოდნენ მანქანის მიერ შეთხზულ პროგნოზთა სისტემას. ადამ დოღზე წააგო მთელი თავისიც და ქმრის ქონებაც და ექსტრემალურ სიტუაციებში იძულებული შეიქნა ახალი ფინანსური წყაროები ეძებნა და ამ ძიებაში სულ ახალ და ახალ ავანტიურიტებს უკავშირდებოდა. რაც არ უნდა სამწუხარო იყოს ეს, ლოველასების ოჯახი სრული გაპარტახებისაგან 1852 წელს ადას ნაადრევმა სიკვდილმა გადაარჩინა (იგი კიბოთი გარდაიცვალა); ბებიჯმა კიდევ 10 წელიწადს იცხოვრა, მაგრამ თავის ანალიტიკური მანქანა საბოლოოდ მაინც დაუმთავრებელი დარჩა.

* * *

1975 წელს აშშ-ს თავდაცვის სამინისტროში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროგრამირების უნივერსალური ენის შემუშავების შესახებ. მინისტრმა წაიკითხა მდივნების მიერ წინასწარ მომზადებული ისტორიული ექსკურსი და ყოველგვარი დაეჭვების გარეშე გამოთქვა აზრი, რომ სამომავლოს შესქმნელი ენისათვის „ადა“ ეწოდებინათ.

...მართალია, დედა ცდილობდა ადა მამის გავლენისაგან გაეთავისუფლებინა, მაგრამ ბედმა ისე ინება, რომ ორივეს თავზეხელაღებული ცხოვრებით ეცხოვრათ და ორივე 36 წლის ასაკში გარდაცვლილიყო

...და ახლა მამა-შვილი გვარდიგვერდ განისვენებენ ნოტინგენფშირის ბაირონების საგვარეულო სასაფლაოზე...

# აფორიზმების ანთოლოგია

**738**. მე მგონია, რომ მსოფლიო ბაზარზე ხუთიოდე კომპიუტერის გაყიდვას შევძლებთ.

**კომპანია „IBM“-ის დირექტორი, თომას უოთსონი, 1943 წ**

**739**. კომპიუტერს ის უპირატესობა აქვს გონებასთან შედარებით, რომ მას იყენებენ.

**გაბრიელ ლაუბი**

**740**. ელექტრონული მანქანები ბევრად უფრო ზუსტ შეცდომებს დაუშვებენ

